

უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები

¹ქეთევან ჭკუასელი, ²რუსუდან სანაძე

¹ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიკის კათედრა
²ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეთოდური სამმართველო

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების შემუშავება. თეორიული მოდელის შესაქმნელად განხილულია უნივერსიტეტის ფუნქცია ისტორიული და თანამედროვე ხედვით. უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა. აქედან გამომდინარე უმაღლესი სკოლის მასწავლებლის ფუნქცია მეცნიერების კვლევა და სწავლებაა. გაანალიზებულია ამ საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა და მოაზრებულია ავტორისეული თეორიული მოდელი. პედაგოგის კულტურის გაგებიდან გამომდინარე უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული სახე სამი ასპექტის ერთიანობით - საგნის ცოდნა, მეთოდური მომზადება, პიროვნული თვისებები - მოიაზრება. ჩატარებულია ექსპერიმენტი 350 სტუდენტსა და უნივერსიტეტის მასწავლებლებთან. პრაქტიკული მონაცემების შეჯერებით თეორიულ მოდელთან შექმნილია მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები. ხაზგასმულია, რომ პროფესიოგრამა ცვლადი და ღია სისტემაა და აღნიშნული მოდელი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო ინოვერსიტეტის დაკვეთას მასწავლებლისადმი.

საქართველოში მიმდინარე სოციალურმა და ეკონომიურმა ცვლილებებმა დღის წესრიგში აუცილებლობით დააყენა განათლების სისტემის რადიკალური ცვლილება. ამასთან, აუცილებელი გახდა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია და საერთაშორისო სტანდარტების დონის მიღწევა. ამ პროცესის შესაბამისად, საქართველოში მიმდინარეობს საგანმანათლებლო რეფორმა, რომელიც მოიცავს როგორც უმაღლეს, ისე საშუალო განათლების სფეროებს. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები. ყველასათვის ნათელია, რომ უმაღლესი განათლების უპირითადეს ფიგურას მისი პროფესორ-მასწავლებელი წარმოადგენს, რომ მასწავლებელია ყოველგვარი წესდებისა თუ გარდაქმნის აღმსრულებელი, მასწავლებელია ის მთავარი ძალა, რომელიც თავისი მხრებით ატარებს სწავლა-აღზრდის უმძიმეს ტვირთს. მასწავლებლის ასეთი როლი არაერთგზისაა დასაბუთებული გამოჩენილ პედაგოგთა მიერ. “მასწავლებლის პიროვნებაზე, მის მომზადებაზე და უნარებზე დამოკიდებული სკოლის ბედ-იღბალი. მასწავლებელი სული და გულია მთელი სკოლისა და თუ ეს სული სადი არ არის და გულიც ჭიანია, სკოლაც დაავადებული და სუსტი იქნება”. [2]

ახალი, საერთაშორისო დონის უმაღლესი სკოლა, ცხადია, ახალ მასწავლებელს მოითხოვს. ისეთ მასწავლებელს, რომელსაც აქვს მაღალი პედაგოგიური კულტურა და რომელიც ფლობს თანამედროვე პედაგოგიურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ სწავლებისა და აღზრდის მეთოდებსა და ხერხებს. მაინც, როგორი უნდა იყოს ასეთი მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები და რა ადგილი უნდა ეჭიროს მის მუშაობაში კლასიკურ და ეროვნულ პედაგოგიურ ტრადიციებს? სწორედ ამ პრობლემას ვსვავთ ნაშრომში და ვცდილობთ წარმოვადგინოთ ჩვენეული მოსაზრება ამ საკითხვის ირგვლივ. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ უმაღლესი სკოლის, და კერძოდ, უნივერსიტეტში მასწავლებლის

პროფესიულ მახასიათებლებზე აუცილებლობა მოითხოვს შევჩერდეთ თავად უნივერსიტეტის მიზანზე და მიზნიდან გამომდინარე დაკვეთებზე მასწავლებლისადმი.

ტერმინით Universitas (- Lat. – ერთობლიობა, სიტყვიდან Unversus – წონა, ერთად აღებული) შუა საუკუნეებში იწოდებოდა სხვადასხვა ამხანაგობები, ვაჭართა გილდიები, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები და ზოგიერთი სხვა გაერთიანება. ამის შესაბამისად იმ დროს აღმოცენებულ “თავისუფალ” სკოლებს დაერქვათ universitas magistrum et scholarum (სტუდენტთა და მასწავლებელთა კორპორაცია). ხოლო შემდგომ, თანდათანობით, სასწავლო დაწესებულებებს დაერქვათ უნივერსიტეტები (თავიდან studium – სკოლა, studium generale- საყოველთაო სკოლა; ეპითეტი generale მიუთითებდა სასწავლო დაწესებულების ინტერნაციონალურ ხასიათზე). შემდგომში ეს სახელწოდება აღნიშნავდა უმაღლესი სკოლების სასწავლო გეგმას, რომელიც აერთიანებდა მეცნიერებათა მთელ ერთობლიობას (universitas literatum). [10]

თუ მივიღებთ ტერმინს “პროსაუნივერსიტეტო განათლება”, მაშინ პირველ სამეცნიერო-ფილოსოფიურ და ეთიკურ-პოლიტიკურ თანამეგობრობათა ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ პითაგორას კავშირი, პლატონის აკადემია, არისტოტელეს ლიკეი, პტოლემეის მიერ ალექსანდრიაში დაარსებული მუზეუმი.

უნივერსიტეტის ისტორია იწყება შუა საუკუნეებიდან და უკავშირდება დასავლეთ ევროპაში ქალაქური ეკონომიკის და კულტურის განვითარებას. პირველი საერო უნივერსიტეტები იყო: ბოლონიის (1158წ, იტალია), კემბრიჯის (1209წ, ინგლისი) და ოქსფორდის (XIII, ინგლისი), პარიზის (1215წ), სალამანკის (1218-26 წწ. შორის, ესპანეთი), ლისაბონის (1290წ, პორტუგალია), პრადის (1348წ, ჩეხია), კრაკოვის (1364წ, პოლონეთი), ვენის (1365წ, ავსტრია), ჰაიდელბერგის (1386წ, გერმანია), უფრალის (1477წ, შვეცია), კოპენჰაგენის (1479წ, დანია).

უნივერსიტეტში მისია რადიკალურად იცვლება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. კლასიკური უნივერსიტეტის პრინციპულად ახალი იდეა, ჩამოყალიბებული ვ. ჰუმბოლტის მიერ, მდგომარეობდა შემდეგში:

- a) კვლევის ორიენტაციისა და სწავლების შეხამება;
- b) სახელმწიფოს მხრიდან მოსწავლისა და მასწავლებლის თავისუფლების უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი მოდელის განხორციელება სრულად მოხერხდა 1810 წელს ბერლინის უნივერსიტეტის გახსნასთან ერთად.

ამ უნივერსიტეტის იდეის საბაზო პრინციპები შემდეგში მდგომარეობდა:

- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს შედარებითი ავტონომია;
- კვლევა და სწავლება განათლების არსია;
- უნივერსიტეტი იმედოვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას, მის ღირებულებათა აღორძინებას, ასევე ცოდნისა და განსწავლულობის ღირსების ეთიკურ დასაბუთებას.

შემდგომში, უნივერსიტეტის ყველა ევოლუციური ცვლილება, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ჰუმბოლტის სახელთან დაკავშირებულ უნივერსიტეტის მოდელთან შედარებით განიხილებოდა.

საუნივერსიტეტო განათლების მეთოდოლოგთა (ჯონ ჰენრი ნომენი, ორტეგა-ი-გასეთი, კარლ იასპერსი, ალფრედ ნიტს უაიტხედი და სხვ.). პოზიციები საკმარისად სხვადასხვაგვარია, მაგრამ თუ ვეცდებით მათ ერთ საფუძველზე დაყვანას, მივიღებთ თანამედროვე უნივერსიტეტის განზოგადოებულ მოდელს, რომელშიც ხელშეუხებელი რჩება უნივერსიტეტის ფუნქციების და ღირებულებათა ფუნდამენტური სისტემა, უნივერსიტეტის ტრადიციული მისიის შენარჩუნება.

დღეისათვის, უნივერსიტეტის წინაშე დგას ამოცანა - მან უნდა მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრი. იგი ამზადებს კადრებს არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, არამედ პედაგოგებს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც. უნივერსიტეტის ერთი მთავარი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში სასწავლო-პედაგოგიური პროცესის გაშლა მხოლოდ სერიოზულ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზაზეა შესაძლებელი, რის გარეშეც მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერული კადრების მომზადება წარმოუდგენელია. უნივერსიტეტში უმაღლესი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა და არა მარტო უმაღლესი სასწავლებელი. [7]

ამრიგად, ისტორიული და თანამედროვე ლიტერატურის გადამუშავებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც ვ. ჰუმბოლტის იდეის შესაბამისად, შეხამებულია კვლევისა და სწავლების ორიენტაცია და სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია სტუდენტისა და მასწავლებლის თავისუფლება. უმაღლესი სკოლის ამგვარი მისიიდან (სასწავლო-სამეცნიერო) გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ კადრის (მასწავლებლის) პროფესიული მახასიათებლების შესახებ, რომელიც იქ მოღვაწეობს.

უმაღლესი სკოლის მასწავლებელს, ჩვეულებრივად ლექტორს (Lat.lector - მკითხველი) უწოდებენ, აღნიშნულ სასწავლებელში, სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის დასახელების, ლექციის (Lat.lectio - კითხვა) გამო. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ლექტორი, როგორც მასწავლებელი ყველა იმ ნიშნის მქონეა, რაც საერთოდ მასწავლებლისთვის (მაგ. საშუალო სკოლის მასწავლებლისთვის) არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, ლექტორს საშუალო სკოლის მასწავლებლისაგან განსხვავებით, თავისებურებაც გააჩნია, რაც უმაღლესი სკოლის ამოცანებითა და სტუდენტთა თავისებურებითაა განპირობებული. [10]

უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასწავლებელს არა თუ საკუთარი საგნის ღრმად ცოდნა, არამედ პედაგოგიური უნარ-ჩვევების ფლობა ევალება. სწორედ, მეცნიერული ცოდნის და პედაგოგიური უნარის სწორი შეხამება წარმოადგენს კარგი პედაგოგობის აუცილებელ პირობას.

არსებობს უმაღლესი სკოლის ლექტორის, როგორც მასწავლებლის, პროფესიულ თვისებათა გარკვეული ჩამონათვალი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია კარგი მეცნიერი კარგი პედაგოგი იყოს. მოთხოვნები შეიძლება დაიყოს როგორც პიროვნულ თვისებებად, ასევე მეთოდური მომზადების უნარებადაც. რასაკვირველია, კარგი ლექცია, მეცნიერული ერუდიციის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ჩაატარო ლექცია, ასწავლო სხვას მეცნიერება, ცოდნის გარდა, პედაგოგიურ უნარსაც საჭიროებს. ასწავლო სხვას ეს არა მარტო ხელოვნება, შემოქმედება, არამედ უნარიცაა, რაც პიროვნული თვისებაა და სპეციალური დარგის ცოდნას მოითხოვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი სკოლის ზოგ სპეციალისტ-მასწავლებელთა შორის გავრცელებულია ის აზრი, რომ თითქოს საკმარისია მან იცოდეს მეცნიერება, გააჩნდეს ამისთვის კვლევის უნარი, რომ იგი კარგი მასწავლებელი, კარგი ლექტორი იყოს. ბევრი პროფესორ-მასწავლებელი თავისი საგნის სწავლებისას კუსტარულად შეიმუშავებს პედაგოგიურ სახელმძღვანელო პრინციპებს, მაგრამ ასეთი პრინციპების შემუშავებისათვის მეცნიერული პედაგოგიკის მონაპოვართ კი არ სარგებლობს, არამედ საკუთარი შეხედულებით, ინტუიციით, გამოცდილებით. ასეთ “ინტუიტურ პედაგოგიკას” გამოცდილება ეხმარება და იგი ზოგჯერ თავსაც დააღწევს შეცდომებს სწავლებისა და აღზრდის პროცესის წარმართვაში, მაგრამ ეს ბევრი შეცდომისა და უვარგისი ხერხის გამოყენების შემდეგ ხდება. [8] უფრო ხშირად, კი

ასეთი პედაგოგიკის გამო პროფესორ-მასწავლებლის მუშაობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ნაკლოვანი რჩება. ეს კი უპირველესად სტუდენტ-ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას, რაც სამწუხაროდ შედარებით გვიან იჩენს თავს. გარდა ამისა, მასწავლებელი ხომ მარტო საგნის სწავლებას არ აწარმოებს. ეს მისი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა. ივიწყებენ, რომ მასწავლებელი აღმზრდელიცაა და ადამიანის აღზრდა, მისი მსოფლმხედველობისა და ხასიათის თვისებების ჩამოყალიბება, მის ფსიქიკაზე ზემოქმედება სწავლებებზე ნაკლები მნიშვნელობის საქმე როდია. აი სწორედ სპეციალური დარგის, პედაგოგიკის, და კერძოდ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ცოდნის გარეშე შეუძლებელია მასწავლებელმა სწორად განახორციელოს თავისი სასწავლო-აღმზრდელი ფუნქცია. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნივერსიტეტში მასწავლებლის გარკვეული რაოდენობა ასეთ თვალსაზრისზე როდი დგას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მათი საკმაოდ ნაწილი კარგად არ ფლობს და, რაც უფრო გულსატკეპია, არ ცნობს მეცნიერებას აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ. ზოგჯერ მათ ზედმეტად სჯერათ საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებისა და არ უწყიან, რომ ამით, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ქვეყნის მომავალს აყენებენ ზიანს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული უნივერსიტეტის მისიიდან – **სასწავლო-სამეცნიერო** – გამომდინარე ნათელია, რომ უმაღლესი სკოლის მასწავლებელს ევალება სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა. ამჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს ამ ორი ფუნქციის შინაარსობრივი გაშლა. შესაბამისი ლიტერატურის მოძიებამ დაგვარწმუნა, რომ პედაგოგის პროფესიონალური კომპეტენტურობის მოთხოვნის არა ერთი მოსაზრება არსებობს. ასე, მაგალითად გ.ბ. სკოკს [11] მიაჩნია, რომ პედაგოგიური პროფესიონალიზმი შედგენა სამი ბლოკისა ან კომპონენტისაგან:

- ზოგადკულტურული;
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური;
- საგნობრივ-ტექნოლოგიური;

რუსეთის სახელმწიფო საგადასახადო აკადემიის მიერ გამოქვეყნებულ საქურნალო სტატიაში [13] აღნიშნულია, რომ მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიონალიზმისადმი შეიძლება დაიყოს შემდეგ ასპექტებად:

- სასწავლო-აღმზრდელი პროცესის ტექნოლოგია;
- პედაგოგის პიროვნული მახასიათებლების შეფასება;
- სტუდენტსა და პედაგოგს შორის დამოკიდებულების ანუ პედაგოგიური ურთიერთობის შეფასება;

მატი მერი მასწავლებლის პროფესიულ მახასიათებლებს ოთხ პუნქტად ყოფს:

1. იმ სამუშაო სიტუაციის და სოციალური ამოცანების კონტროლი უნარი, რომელშიც მასწავლებელი იმყოფება;
2. სწრაფად ცვლად გარემოებებსა და ახალ მიზნებზე მორგების უნარი;
3. კავშირის დამყარების უნარი სკოლაში ფუნქციონირებასა და საკლასო ოთახს შორის, ასევე სოციალურ დონეზე უფრო ზოგად მოქმედებასა და საკლასო ოთახს შორის;
4. თავიანთი პროფესიონალური ფუნქციონირების ლეგიტიმაციის უნარი;

საქართველოში ფონდ “ღია საზოგადოება - საქართველოს” მიერ 2001/2002 წლებში განხორციელებული მასწავლებელთა საუნივერსიტე-ტო მომზადების პროგრამის მასალებში ასევე მოცემულია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრება მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლების შესახებ. კერძოდ, სტატიაში “მასწავლებლის

კვალიფიკაცია ღია, ჰეტეროგენულ საზოგადოებაში” ჩამოთვლილია შემდეგი მახასიათებლები:

1. მასწავლებელი, როგორც სასწავლო პროცესების ორგანიზატორი, ინიციატორი, მეთვალყურე;
2. მასწავლებელი, როგორც აღმზრდელი;
3. მასწავლებელი, როგორც მოსწავლეთა მრჩეველი და მსაჯული;
4. მასწავლებელი, როგორც ის, ვინც ასწავლის;
5. მასწავლებელი, როგორც თანამოღვაწე სკოლის განვითარებაში;

(ძირითადი წყარო: KMK – განმარტებანი, ბრემენული განმარტება 5.10.2000 სრულად: კვალიფიკაციის პროფილები გრაციდან, ავსტრიიდან და ნიდერლანდებიდან “Beroepsprofiel” და სხვა).

აქვე სტატიაში “საგანმანათლებლო პოლიტიკა” მოტანილია მასწავლებლის “ახალი პროფესიონალიზმის” მოთხოვნები

- გამოცდილება;
- პედაგოგიური ნოუ-ჰაუ;
- სპეციალური ტექნიკის ცოდნა;
- ორგანიზაციული კომპეტენცია და თანამშრომლობა;
- მოქნილობა;
- მობილურობა;
- ღიაობა;

ასევე სტატიაში “სწავლების უნარ-ჩვევა და კომპეტენცია განახლებული” კურიკულუმის დანერგვაში პროფესიული მახასიათებლები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი

1. მასწავლებლის ზოგადი პროფესიული კომპეტენცია
 - a) ღრმა და ნათელი ცოდნა და გაგება;
 - b) პიროვნული ღირსებები;
 - გ) პროფესიული უნარ ჩვევები;
2. მასწავლებლის კომპეტენცია საგნის (მეცნიერული) სპეციფიკასთან დაკავშირებით;

თითოეული ამ მოდელის უკან, მოიაზრება პუნქტებად გაშლილი მოთხოვნები, რომელნიც ავტორისათვის მისაღები და დასაბუთებულია. ჩვენ ვერ გავიაზრეთ ვერც ერთი მოსაზრება, რადგან ისინი, ჩვენი აზრით, სრულად ვერ ასახავენ უმაღლესი სკოლის მასწავლებლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. შევახამეთ რა ეს მოთხოვნები ჩვენს რეალობასთან, კლასიკურ დიდაქტიკაზე დაყრდნობით, გადავწყვიტეთ პედაგოგის პროფესიული სახე სამი ასპექტის ერთიანობით მოვიაზროთ:

- საგნის ცოდნა;
- მეთოდური მომზადება;
- პიროვნული თვისებები;

სტატიის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უმაღლესი სკოლის რეფორმის წარმატებით განხორციელება მოითხოვს მაღალი პედაგოგიური კულტურის მქონე მასწავლებელთა კადრებს. მაღალი პედაგოგიური კულტურის გარეშე მასწავლებელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაართმევს თავს სადღეისო ამოცანებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რა იგულისხმება პედაგოგიურ კულტურაში, მითუმეტეს, რომ ამ საკითხის ირგვლივ პრაქტიკაში ზოგჯერ არასწორ გაგებას ვხვდებით. ეს არასწორი გაგება უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგიურ კულტურაში მასწავლებლის მიერ თავისი საგნის კარგ ცოდნას და პროფესიულ-

პედაგოგიურ მომზადებს გულისხმობენ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ პროფესიულ-პედაგოგიური მომზადება პედაგოგიურ კულტურის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ არა საკმარისი. მასწავლებლის პედაგოგიური კულტურის გაგებისას საჭიროა საერთოდ ადამიანის კულტურის ცნების გაგებიდან გამოვდიოდეთ. მაშინ კი ვითარება სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

კულტურის ქვეშ ხომ იგულისხმება ადამიანთა გონებრივი და ფიზიკური შრომის შედეგად შექმნილი საზოგადოების ყველა მონაპოვარი მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე. მაშასადამე, პედაგოგიური კულტურა ნიშნავს პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის ყველა თანამედროვე მონაპოვრის სიმალლეზე დგომას. ბუნებრივია დასკვნა, რომ მაღალი პედაგოგიური კულტურის მქონე მასწავლებელი, თავისი პროფესიულ-პედაგოგიური მომზადების გარდა, მოწოდების სიმალლეზე უნდა გრძნობდეს თავს დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სულიერი და მატერიალური მონაპოვრების ცოდნის საქმეში. ყოველივე ამას კი მიაღწევს მაღალი ზნეობისა და თვითშეგნების, მაღალი ერუდიციის მქონე პიროვნება მასწავლებლისათვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისებების მხოლოდ ერთიანობა და მთლიანობა ჰქმნის მის პედაგოგიურ კულტურას. შევაჯერეთ რა პედაგოგიური კულტურის ამგვარი გაგება ჩვენს რეალობასთან, გადავწყვიტეთ უმაღლესი სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე პედაგოგის პროფესიული სახე სამი ასპექტის ერთიანობით მოვიაზროთ:

- საგნის ცოდნა (მეცნიერული ცოდნა);
- მეთოდური მომზადება;
- პიროვნული თვისებები;

მიგვაჩნია, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგის პროფესიული საქმიანობის შეფასება ამ ფორმით ამომწურავადაა შესაძლებელი.

საგნის ცოდნა ნიშნავს იმ საგნის, მეცნიერების საფუძვლიან და შეგნებულ ცოდნას, რომელსაც იგი ასწავლის. მაგრამ რას ნიშნავს საგნის კარგად ცოდნა? უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება მასწავლებელმა თავისი საგანი კარგად იცოდეს, თუ იგი საფუძვლიანად არ ერკვევა საერთოდ მეცნიერული დარგების იმ ციკლში, რომელსაც მისი საგანი მიეკუთვნება, ასევე იგი მომზადებული უნდა იყოს თავისი სპეციალობის მონათესავე საგნებში. უმაღლესი სკოლის მასწავლებელი, ასევე მეცნიერ-მკვლევარიც უნდა იყოს, ე.ი. იგი უნდა ფლობდეს მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევებს, და ბოლოს, პიროვნება ვერც მეცნიერეი იქნება და ვერც მასწავლებელი, თუ იგი არ იმდიდრებს ცოდნას, სისტემურად არ ეცნობა ახალ ლიტერატურას, მსოფლიო მეცნიერებათა მონაპოვრებს ამ მეცნიერებაში, არ შეუძლია საკუთარი ცოდნის მოდიფიცირება თანადროულობასთან.

მასწავლებელი, გარდა საგნის ღრმად და საფუძვლიანად ცოდნისა, უნდა ფლობდეს პედაგოგიურ მეცნიერებათა ციკლის დისციპლინებს, რასაც შეიძლება მეთოდური მომზადება დავარქვათ. მასწავლებლის წინაშე სწავლების პროცესში თავს იჩენს მთელი რიგი სიმძნელები, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილია ის ხერხები და საშუალებანი, თანამედროვე ტექნოლოგიები და პედაგოგიური სტრატეგიები, რომელთა გამოყენება სწავლების მაღალ მაჩვენებელს იძლევა. პედაგოგიურ მეცნიერებათა ციკლის საფუძვლიანი ცოდნის მეშვეობით მასწავლებელი თავის მოღვაწეობას შეგნებულად და ხარისხიანად წარმართავს.

და ბოლოს, იმისათვის, რომ მასწავლებელმა სწავლების საქმეში წარმატებას მიაღწიოს, არ კმარა, რომ მან კარგად იცოდეს თავისი საგანი, სწავლების მეთოდები და პრინციპები. სწავლებისა და აღზრდის საქმის წესიერად წარმართვისათვის უპირველესი

მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის პიროვნებას. (ალბათ, სწორედ პიროვნული თვისებებით უნდა დაგვეწყო მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების ჩვენეული ჩამონათვალი.) მასწავლებლის პიროვნების როლსა და მნიშვნელობას აღზრდისა და სწავლის პროცესში ამომწირავად განმარტავს ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილი პედაგოგიკის კლასიკოსთა ციტატები:

“მასწავლებლის პიროვნებაზე, მის გადაცემის თვისებაზე, გარეგან მანერებზე, მიხვრა-მოხვრაზე, ცოცხლად სწავლებაზე, თავის მოვალეობისადმი სიყვარულზე, მოწაფეების სწავლაში წარმატების ზრუნვაზე, მათ განვითარებაზე; თავისი თავის ღირსების გრძნობაზე, მოთმინებაზე და აგრეთვე ამათ წინააღმდეგ თვისებაზე არის დამოკიდებული სკოლის ბედი და უბედობა. ერთი სიტყვით, ყოველს გონებითს და ზნეობითს პიროვნებას მასწავლებლისას აქვს დიდი გავლენა მის სწავლებაზე” - ლ. ბოცვაძე, *ქართული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე*.

“ექვი არ არის, რომ ძალიან ბევრია დამოკიდებული უშუალოდ აღმზრდელის პიროვნებაზე, აღმზრდელისა, რომელიც აღსაზრდელის პირისპირ დგას; ახალგაზრდა სულზე აღმზრდელის პიროვნების გავლენა შეადგენს იმ სააღმზრდელო ძალას, რომელსაც ვერ შეცვლის ვერც სახელმძღვანელოები, ვერც მორალური დარიგებანი, ვერც დასჯისა და ვერც წახალისების სისტემა. ბევრს ნიშნავს, რასაკვირველია სასწავლებლის სულისკვეთება, მაგრამ ეს სულისკვეთება ცოცხლობს არა ქაღალდზე, არამედ აღმზრდელთა უმეტესობის ხასიათში და აქედან გადადის აღსაზრდელების ხასიათში”. კ.დ. უშინსკი, *რუსული პედაგოგიკის ფუძემდებელი*.

მასალის თეორიული დამუშავების შედეგად შემუშავებული მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლების მოდელი ვიკვლიეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის. კერძოდ, ექსპერიმენტი ჩავატარეთ თსუ-ის ყველა ფაკულტეტის 350 სტუდენტზე, 25-30 სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან. მათ მივმართეთ კითხვით - “როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტის მასწავლებელი?”. მათ მიერ მოწოდებული მახასიათებლები განვათავსეთ შინაარსის მიხედვით ჩვენს მიერ მოაზრებულ თეორიულ მოდელში. (ავარჩიეთ მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც დაასახელა სტუდენტების არანაკლებ 80%-მა). მიღებული პროფესიული მახასიათებლები შევაჯერეთ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და კოლეგებთან, რის შედეგადაც ჩვენს მიერ შემუშავებულმა თეორიულ-პრაქტიკულმა მოდელმა მიიღო შემდეგი სახე:

I. ცოდნა საგანში

- ზოგადმეცნიერული მსოფლმხედველობა
- მეცნიერული ცოდნა
- პროფესიული მობილურობა (საბაზო ცოდნის თანადროულობასთან მოდიფიცირება)
- მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევა
- კვალიფიკაციის ამაღლება და შემდგომი განათლება

II. მეთოდური მომზადება

- პედაგოგიური ციკლის დისციპლინების ცოდნა
- საგნის დიდაქტიკის ცოდნა

- სწავლების პროცესის დაგეგმვა და ორგანიზაცია
- სწავლების პროცესში დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნა
- სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება
- სტუდენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა
- სტუდენტის მოტივირება
- მასალის გადმოცემა
- მეტყველების კულტურა
- ტექნიკური საშუალებების გამოყენება
- სტუდენტის აქტივიზაციის ხერხების ფლობა
 - ა) ლექცია / დისკუსია
 - ბ) დებატები
 - გ) საპროექტო მუშაობა
 - დ) გუნდური მუშაობა
 - ე) როლური თამაშები
 - ვ) მუშაობა წყვილებში და სხვ.

- შეფასების სისტემის მოქნილობა და ობიექტურობა
- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბება სტუდენტებში
- პედაგოგიური ტაქტი
- კვლევითი უნარები (სტუდენტის ცოდნის აღრიცხვა, სტუდენტის პიროვნული მახასიათებლების აღრიცხვა)

• სტუდენტის პიროვნების აღზრდა

- სტუდენტის მსოფლმხედველობის ორიენტაცია ზოგადკაცობრიულ ფასეულობებზე
- თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბება სტუდენტში
- წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის და კვლევის უნარის ჩამოყალიბება სტუდენტში
- კრიტიკულ სიტუაციაში დახმარება და მისთვის რჩევის მიცემა

• საუნივერსიტეტო საქმიანობაში მონაწილეობა

- სწავლისათვის ხელშემწყობი ატმოსფეროს შექმნა
- მონაწილეობა სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში
- მონაწილეობა საზოგადოებრივ პროცესებში
- ზრუნვა უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესების გაუმჯობესებაზე

III. პიროვნული თვისებები

• ზნეობრივ-ეთიკური სახე

- საკუთარი კულტურის, ტრადიციების, სოციალური თუ მორალური ფასეულობების პატივისცემა
 - პიროვნული ღირსების თვითშეგრძნება
 - სტუდენტის პიროვნების პატივისცემა
 - საკუთარი პროფესიისა და სტუდენტის სიყვარული
 - თვითდაკვირვება და თვითშეფასება
 - მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ
 - საკუთარ თავზე მუშაობა
 - პასუხისმგებლობის გრძნობა
 - დისციპლინიზებულიობა
 - ორგანიზებულიობა
 - კოლეგიალურობა
 - კომუნიკაბელურობა
- საკუთარი სუბიექტურობის, სტერეოტიპული აზროვნების, შეზღუდვების აღიარება
 - შემწყნარებლობა
 - ახალი იდეების და გამოცდილების მიღება და გაზიარება
 - ზოგადი ერუდიცია

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ მასწავლებლის პროფესიოგრამა, მიუხედავად კაცობრიობის მიერ შემუშავებული მარადიული მოთხოვნებისა მასწავლებლისადმი, ღია და ცვლადი სისტემაა. იგი მუდმივად ვითარდება და იცვლება საზოგადოების პოლიტიკური წყობისა და დაკვეთის შესაბამისად.

ჩვენს მიერ ნაკვლევი მოდელი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა დაკვეთას უმაღლესი სკოლის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლებისადმი.

ლიტერატურა

1. ა. ბალიაშვილი..., მეცნიერული კვლევის საფუძვლები, - თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1981.
2. ლ.ბოცვაძე ჟურნალი "განათლება", 1917წ 16-7, გვ 360.
3. პედაგოგიკა – დ. ლორთქიფანიძის რედაქციით, თბილისი, 1969
4. კ.დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ1, თბილისი 1954
5. მათი მერი "ცვალებადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მასწავლებლებისადმი", ფინეთის უნივერსიტეტში დოქტორი
6. ი. ჭკუასელი – ლუარსაბ ბოცვაძე, თბილისი 1954.
7. კ.ჭკუასელი, სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცი-ისათვის უმაღლეს სკოლაში, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი 1934.
8. გ.ჯიბლაძე..., უმაღლესი სკოლი პედაგოგიკის საკითხები, გამომცემლობა განათლება 1981.
9. განათლება პოლიტიკის საარქივო მასალები, "ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო", 1 ნოემბერი, ტომი 8, 2000.
10. Педагогическая энциклопедия, Москва, 1968, с 371
11. Г.Б. Скок, Как проанализировать собственную педагогическую деятельность, М.: Педагогическое общество России, 2001
12. Т.Исаева, Преподаватель как субъект качества образования // Высшее образование в России, 2003 №2
13. Л. Куприянова, Педагогическое мастерство: принципы оценки // Высшее образование в России, 2003 №1
14. Н.Ладышев, Университеты Европы // Alma mater вестник высшей школы, 1991, №9
15. Люсьен Мишед, Идея университета // Alma mater вестник высшей школы, 1991, №9
16. Teachers in Europe – European Commission / Eurydice/Eorostat, February 2000
17. Accreditation Handbook, (Revised 1986), A publication of the American Psychological Association Committee on Accreditation and Accreditation Office
18. F.Buchberger, Green paper on teacher education in Europe, TNTT 2000, Sweden

მიღებულია: 27.06.2003